სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 59

2014 წლის 27 ივნისი

ქ. თბილისი

საზაფხულო სკოლის 2014 წლის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„საზაფხულო სკოლის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის N77/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტების, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2014 წლის 25 თებერვლის N3 სხდომის ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს „საზაფხულო სკოლის 2014 წლის საგრანტო კონკურსი".
2. დამტკიცდეს „საზაფხულო სკოლის 2014 წლის საგრანტო კონკურსის" პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს „საზაფხულო სკოლის 2014 წლის საგრანტო კონკურსზე" წარსადგენი მოწვეული უცხოელი ლექტორების პროფესიული ავტობიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს „საზაფხულო სკოლის 2014 წლის საგრანტო კონკურსში" წარსადგენი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.

5. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
6. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

კარლო ლაფერაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2014 წლის 27 ივნისის
№59 ბრძანებით
დანართი N1

საზაფხულის სკოლების საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1.კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა აკადემიური დონის ასამაღლებლად და კვლევების განვითარების ხელშესაწყობად საზაფხულო სკოლების ორგანიზება და განხორციელება საქართველოში.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირება

1. საზაფხულო სკოლის გრანტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მოიპოვებს ღია კონკურსის წესით. კონკურსს აცხადებს და წარმართავს ფონდი ამ დებულებითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ)კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშების ფორმების დამტკიცებას;

გ) საკონკურსო კომისიის შექმნას, რომელიც ამ დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასებს წარმოდგენილ პროექტებსა და გამოავლენს გამარჯვებულებს;

დ) გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტების დასამტკიცებლად წარდგენას ფონდის სამეცნიერო საბჭოსათვის;

დ) სამეცნიერო საბჭოს მიერ დასაფინანსებლად დამტკიცებულ პროექტების წარმდგენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პროექტის ხელმძღვანელთან ხელშეკრულების გაფორმებას;

ე) კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსებას ხელშეკრულების საფუძველზე;

ვ)ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს;

3. კონკურსის გამოცხადებისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდებაფონდისოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ფონდი უფლებამოსილია ფონდის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვროს და კონკურსის გამოცხადებამდე გაასაჯაროოს კონკრეტული წლისათვის კონკურსის პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები. პროექტების შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებაში წარდგენილ პროექტებს.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობადა კონკურსის პირობები

1. კონკურსში პროექტის წარდგენა შეუძლია ერთ ან ერთზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი პროექტისთვის ერთ-ერთი ითვლება წამყვანად, დანარჩენი - თანამონაწილე ორგანიზაციად.

2. პროექტის წარმდგენუმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საზაფხულო სკოლის სამეცნიერო მიმართულების შესაბამისი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

3. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ ორი უცხოელი/უცხოეთში მოღვაწე პროფესორის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის მონაწილეობას.

4. კონკურსში უპირატესობა მიენიჭება პროექტს, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების პროექტში ჩართულობას;

ბ) მოიცავს ინტერდისციპლინურ თემატიკას;

გ) ითვალისწინებს წარმდგენი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის, სხვა დონორის თანადაფინანსებას.

5. საზაფხულო სკოლის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

6. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 50 000 (ორმოცდაათი ათას) ლარს.

7. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც წარმოდგენილია ვადის დარღვევით, არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 4.საზაფხულო სკოლის მსმენელი

1. საზაფხულო სკოლების მსმენელები არიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების სტუდენტები.

2. საზაფხულო სკოლის მსმენელებს შეარჩევს კონკურსში გამარჯვებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

მუხლი 5. დაფინანსება

1. პროექტის ფარგლებში დაფინანსდება:

ა) პროექტის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება;

ბ) მოწვეული ლექტორებისა და პროექტში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურება;

გ) პროექტის ხელმძღვანელის, მოწვეული ლექტორების, საზაფხულო სკოლის მსმენელებისა და პროექტში ჩართული პერსონალის სასტუმროს ხარჯი;

დ) პროექტის ხელმძღვანელის, მოწვეული ლექტორების, საზაფხულო სკოლის მსმენელებისა და პროექტში ჩართული პერსონალის ტრანსპორტირების ხარჯი;

ე) პროექტის ხელმძღვანელის, მოწვეული ლექტორების, საზაფხულო სკოლის მსმენელებისა და პროექტში ჩართული პერსონალის კვების ხარჯი;

ვ) პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალების დაქირავების ხარჯი;

ზ) პროექტის განხორციელებისათვის საჭიროდარბაზ(ებ)ისდაქირავებისხარჯი;

თ) პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ხარჯი.

2. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალური რემონტი/შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა, კომპიუტერული ტექნიკის, ვიდეო/აუდიო/ფოტოტექნიკის შეძენა.

3. ფონდის მხრიდან საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება ავანსის სახით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისმიერ პროექტისათვის გახსნილ საბანკო ანგარიშზე.

4. პროექტი შესაძლოა ითვალისწინებდეს თანხობრივ თანადაფინანსებას.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. 2014 წლის საზაფხულო სკოლის გრანტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:

ა) საპროექტო წინადადება (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ბ) პროექტის ბიუჯეტი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

გ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

დ) პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებგვერდზე);

ე) მოწვეული უცხოელი ლექტორების პროფესიული ავტობიოგრაფია (CV) ინგლისურ ენაზე (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ვ) პროექტის ხელმძღვანელის პირადობის მოწმობის სრული ასლი (უნდა აიტვირთოს დასკანერებული, PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

ზ) პროექტის ხელმძღვანელის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (უნდა აიტვირთოს PDF ფაილის სახით ფონდის ვებ-გვერდზე);

თ) პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ ელექტრონული ბაზა დააგენერირებს განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რომლის ნაბეჭდი ვარიანტი სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდით/ბეჭდებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული წარდგენილ უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში.

3. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია 2014 წლის 7 ივლისის 24:00 სთ-მდე.

ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 9 ივლისის 18:00 საათისა. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

მუხლი 7. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისიას ქმნის ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) შეთანხმებით.

2. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს დარგის ექსპერტის რეკომენდაციებს. დარგის ექსპერტი შესაძლოა იყოს საკონკურსო კომისიის წევრი.

3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კონკურსის პირობებთან შეუსაბამო პროექტები მოხსნას კონკურსიდან.

4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, კონკურსში მონაწილე პროექტების წარმდგენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროექტის ხელმძღვანელებს მოსთხოვოს პროექტის ბიუჯეტების დაკორექტირება, ფონდიდან მოთხოვნილი თანხის მოცულობის გაზრდის გარეშე.

მუხლი 8. პროექტის შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმებისდასახელება	შეფასება		
		სუსტი	საშუალო	კარგი
1.	საზაფხულო სკოლისსამეცნიერო მიმართულების აქტუალურობა, პრიორიტეტულობა და საზაფხულო სკოლის პროგრამის აკადემიური დონე	0-6	7-11	12-14
2.	რამდენად მკაფიოდ და ნათლად არის აღწერილი პროექტის ძირითადი მიზნები და მათი მიღწევის გზები	0-5	6-8	9-10
3.	პროექტის ხელმძღვანელისა და წარმდგენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გამოცდილების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან	0-2	3-4	5-6
4.	მოწვეული ლექტორების პროფესიული დონე და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან	0-5	6-8	9-10
5.	საზაფხულო სკოლის პროგრამის შესაბამისობა უმაღლესი	0-5	6-8	9-10

	საგანმანათლებლო დაწესებულების საგანამანათლებლო პროგრამების კურიკულუმთან.			
6.	საზაფხულო სკოლის მოსალოდენლი შედეგები და მათი მიღწევის რეალისტურობა	0-5	6-8	9-10
7.	მოთხოვნილი ბიუჯეტისშესაბამისობა პროექტის მიზნებთან	0-5	6-8	9-10
8.	რამდენად ითვალისწინებს პროექტი სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლობას	0	1	2
9.	რამდენად ითვალისწინებს პროექტი მსმენელებს შორის რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ჩართვას	0	1-2	3-4
10	რამდენად ინტერდისციპლინურია პროექტის თემატიკა	0	1	2
11	რამდენად მნიშვნელოვანია თანადაფინანსების წილი	0	1	2
სულ		80		

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია კომისიის წევრი/ექსპერტი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება ექსპერტი ან კომისიის წევრი იყოს ის პირი:

ა) რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო ფინანსური ან სხვა სახის პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში;

ბ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში ან/და პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. კომისიის წევრი და ექსპერტი ვალდებულია სამეცნიერო საბჭოს/ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კომისიის წევრის/ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს კომისიის წევრის/ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 10. ხელშეკრულების გაფორმება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტის წარმდგენ წამყვან და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციებთან და პროექტის ხელმძღვანელთან.

მუხლი 11. მონიტორინგი

1.ფონდი ახორციელებს მონიტორინგს, რომელიც მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგის შემთხვევაში მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების ფინანსურ კონტროლს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. მონიტორინგის დეპარტამენტი ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ საგრანტო სახსრების ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნეს ფოტოასლებისა ან ელექტრონული (დასკანერებული) სახით და გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე ადგენს განხილვის აქტს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში ავანსის სახით გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგის შემთხვევაში მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს საგრანტო პროექტების პროგრამულ კონტროლს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. პროგრამული მონიტორინგისათვის ფონდში წარდგენილ უნდა იქნას დაგეგმილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ნაბეჭდი, ფოტოასლების ან ელექტრონული (დასკანერებული) სახით. ამოცანის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში ფონდში წარდგენილ უნდა იქნას შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელის, სამეცნიერო საბჭოს ან შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ დადასტურებული წერილობითი დოკუმენტი დასახული პროექტში დასახული ამოცანის შესრულების თაობაზე.

4. დაფინანსების მიმღებმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ 15 დღის განმავლობაში ფონდს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელიც შედგება ფინანსური და პროგრამული ნაწილისაგან.

5. სამინისტროს დავალებით, ფონდი უფლებამოსილია დარგის ექსპერტებს შეაფასებინოს გარკვეული დასრულებული საგრანტო პროექტები. ფონდი არ არის უფლებამოსილი თავად შეაფასოს დასრულებული საგრანტო პროექტის სამეცნიერო ღირებულება და არ არის პასუხისმგებელი საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგზე.

6. დაფინანსების მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალა შესაძლებელია ფონდმა გამოიყენოს თავის ვებგვერდზე განთავსების, საქმიანობის ანგარიშში ჩართვის, სხვა ბეჭდვით ან ელექტრონულ პროდუქციაში გამოყენების მიზნით.

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2014 წლის 27 ივნისის
№59 ბრძანებით
დანართი N2

Curriculum Vitae (CV) form

1.Personal Information

Name, Last Name

Citizenship

E-mail

Date of Birth

Address

Telephone

Webpage

2. Professional Service:

Academic Degree

Working Organization

Organizational Unit

Position

3. Education

	Name of Higher Educational Institution	Major/specialty	Academic Degree	Years
1				
2				

4. Work Experience

	Name of Organization	Department/Division/Section	Position	Years
1				
2				

5. Number of Publications _____
Including in impact-factor Scientific Journals _____ (for Social and Economic Sciences)
Citation index _____ (if any)

6. List of Publications (no more than 10)

	Authors	Name of Publication	Publishing House, Type of Publication (Article, Monograph, Handbook, etc.)	Year
1				
2				

7. Patents (if any)

	Patent name	Patent issuing organization	Patent registration number	Year
1				
2				

8. Participatioin in Research Grant Projects (no more than 10)

	Years	Role in the Project	Name of the Project	Donor Organization
1				
2				

8. Participatoin in International Scientific Forums /Conferences (no more than 10)

	Year	Name of the event	Title of Presentation	Place of the Event
1				
2				

9. Knowldege of Forein Languages (Please Mark Appopriate)

№	Language	Beginner	With vocabulary	Average	Good	Fluent
1						
2						

10. Aditional Information (Awards, Fellowships, Membership in Different Scientific Organizations (Optional))

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2014 წლის 27 ივნისის
№59 ბრძანებით
დანართი N3

განცხადება

კონკურსში მონაწილეობის შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

1.	საზაფხულო სკოლის სახელწოდება	
2.	საზაფხულო სკოლის ჩატარების პერიოდი	

მოგახსენებთ, რომ გავეცანი "საზაფხულო სკოლების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას, კონკურსის პირობებს, ვეთანხმებით და ვაღიარებთ მათ სავალდებულო დაცვას. პასუხისმგებელი ვართ სააპლიკაციო ფორმაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე. ამასთანავე, ვაცნობიერებთ, რომ არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან. გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი განცხადება 2014 წელს საზაფხულო სკოლის გრანტის მისაღებად.

- წამყვანი ორგანიზაცია

წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება	*წამყვანი ორგანიზაციის სტატუსი*	*წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი, გვარი*	*ხელმოწერა*

ბეჭედი:

- თანამონაწილე ორგანიზაცია

თანამონაწილე ორგანიზაციის სახელწოდება	*წამყვანი ორგანიზაციის სტატუსი*	*წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი, გვარი*	*ხელმოწერა*

ბეჭედი:

- პროექტის ხელმძღვანელი

სახელი, გვარი	*ხელმოწერა*